№ 28 20 ივლისი 1873 20 ივლისი № 28

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროება

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი მერვე

გაზეთის ფასი

	გაგზავნით.	გაუგზავნ.
ერთის წლისა	— 6 მ. კაპ.	5 მან. კაპ.
ნახევარის წლისა	— 3 „ „	2 „ 50
სამის თვისა	— 1 „ 75	1 „ 50
ერთის თვისა	— „ „ 60	„ „ 50
ცალკე ნომრისა	— „ „ 12	„ „ 10

განცხადებანი, „დროებაში“ დასაბეჭდათ, მიიღება სხვა-და-სხვა ენებზე. ფასი განცხადებისა ჩვეულებრივის ასოებით, სტრიქონზე 4 კაპ. და ასო-მთავრულებით — ასოზე 1/4 კაპ.

ხელის-მოწერა

მიიღება **თფილისში:** „დროების“ რედაქციის კანტორაში, სოლოლაკზე, სოლომონ მირიმანოვის სახლებში.

ქუთაისში: ბერასომე კალანდარაშვილთან (სასულიერო სასწავლებელში) და სვ. მესხთან.

ბარეშე მცხოვრებთა შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ მოთხოვნილება:

Въ Тифлисъ. Въ контору редакціи газеты „ДРОЭБА“.

ბამოდის კვირაში ერთხელ, პარასკევობით.

შინაარსი

საქართველო: ქუთაისის ბანკის საქმე: რედაქციისაგან — მოთხრობა ჩემის „ოინობისა“ (ბ. ლოლობერიძისა) — თქვენც ბანკზე, მეც ბანკზე (იაკინთე ყიფიანისა) — პასუხი იაკინთე ყიფიანს (ნ. სკანდელისა) — „დროების“ კორრესპონდენცია: ყვირილიდამ — ჭოლევიდამ — „ კრებულის“ განცხადება.

საქართველო

ქუთაისის ბანკის საქმე

რედაქციისაგან

უფ. ბ. ლოლობერიძემ გამოგვიგზავნა ჩვენ შემდეგი პასუხი უფ. ნ. სკანდელის სტატიაზე „იმერეთის ამბები“ („დროება,“ № 26.) ჩვენ ამ პასუხს სიტყვა-სიტყვამდე შეუცვლელათ ვბეჭდავთ. ჩვენი ხელუხლებლობა ამ სტატიისა იქნამდი მიაწევს, რომ ჩვენ არც კი ვსცლით იმ სიტყვებს, რომელშიაც უფ. ლოლობერიძე, ნ. სკანდელის მაგიერ, უფ. ნ. ნიკოლაძეს ახსენებს და აძლევს პასუხს. უ. სკანდელის სტატიას ის მიზანი ჰქონდა, რომ თავისი სიფიცხით და უფ. ლოლობერიძის მკაცრი გაკიცხვით აეძულებინა ეს უკანასკნელი, ხმა ამოეღო მწერლობაში და ბეჭდვით აეხსნა ჩვენი მკითხველი საზოგადოებისთვის ის საქციელი, რომელიც „დროებას“ საკიცხავათ მიაჩნია და რომელიც, ამის თანხმათ უფ. სკანდელმა „დროებაში“ გაჰკიცხა. ეხლა, რადგანც უფ. ლოლობერიძემ ხმა ამოიღო, „დროება“ მისგან წარმოდგენილ დამტკიცებებს და გამართლებას გულ-დამჯდარათ, დასვენებით და დაწვრილებით გასინჯავს და თავის დამტკიცებებსაც წარმოადგენს მაშინ დასკვნის გამოყვანა, აზრის შედგენა, დაფასება და დამნაშავის ცნობა არც „დროების“ საქმე იქნება, არც უფ. ბ. ლოლობერიძის: ამაებს იზამს ეხლანდელი ჩვენი მკითხველი საზოგადოება და ჩვენი მომავალი თაობა.

ჩვენი პასუხი დაიბეჭდება, როცა ჩვენ მიიღებთ და დაებეჭდავთ უფ. ლოლობერიძის სტატიის დასასრულს.

მოთხრობა ჩემის „ოინობისა“

„დროების“ ოცდამეექვსე ნომერში წავიკითხე უ. ნ. ნიკოლაძის სტატია, მისი მწუხარება ქუთაისის ბანკის თაობაზე, ჩემი დიდი ლანძღვა და გინება. პასუხად უნდა მოგახსენოთ ცოტა გრძელი ამბავი. შარშან, წლის ბოლოს, უ. ბ. იოსელიანმა და ბ. ლოლობერიძემ მითხრეს მიმეღო მონაწილეობა ქუთაისის ბანკის საქმეში და გვეზრუნა როგორმე, წლეულ-ნდელს მაისის კრებაზ ეს საქმე თავ-მოუბმელი არ დარჩომოდა. მე შევადგინე უსტავის პროეკტი რაოდენისამე მეგობრების რჩევით და შემწეობით. დრო დამეხმარა, ფებერელის თვეში ჩემის სამსახურის საქმეებისთვის გამგზავნეს პეტერბურგს, სადაც მქონდა შემთხვევა, ჩვენი ბანკის გარემოება და ჩემი პროეკტი მცოდნე კაცებისთვის გამესინჯვინებინა. რაკი მათ მოიწონეს ჩემი ნარჩევი, მე მტკიცედ და გაბედვით დავადექი ჩემს პროეკტს. მაისის პირველ რიცხვებში ქუთაისს გამოვიარე და წარუდგინე ჩემი პროეკტი იქაურ თავ-კაცებს. ჩემის თხოვნით უ. სპ. მაჭავარიანმა იშვამდგომლა და თ. ბ. აბაშიძის სახლში შეკრბენ ოციოდე პატიოსანნი პირნი, სხვათა შორის თ. ბ. აბაშიძე, თ. ნ. აბაშიძე, თ. ბ. აგიაშვილი, თ. დ. ერისთავი, თ. ნ. ერისთავი, უ. სპ. მაჭავარიანი, თ. მ. წერეთელი, უ. დ. ჩხეიძე, უ. ლ. ავალიანი, უ. ბ. იოსელიანი და სხვანი.. უ. ბ. ხელთუფლიშვილი და უ. ბ. ლოლობერიძე მოწოდებულნი იყვნენ, მაგრამ არ ბრძანებულან ამ კრებაში; უ. ნ. ლოლობერიძე მაშინ ქუთაისში არ იყო. ამ ზემო ხსენებულ პირებს წარუდგინე ჩემი პროეკტი, აღუწერე, როგორ წარმოსდგა, წაუკითხე უმთავრესი მუხლები და მათგან მივიღე რაოდენიმე საფუძვლიანი შენიშვნა, რომელზედაც მაშინვე თანახმა გავხდი. როგორც მაშინ ბრძანეს და ბოლოს საქმითაც დამტკიცდა, ყველანი თანახმა იყვნენ ჩემი პროექტი მიეღოთ. უკანასკნელი ჩემი სიტყვა იყო ამ ნაირი: ვინც აქ ბრძანდებით, თუ თქვენ მოგწონთ ეს პროეკტი, უეჭველია, სრულიად საზოგადოება დაგეთანახმებათ თქვენ და მიიღებს ამას; კიდევ გასინჯეთ, გაასწორეთ, შეავსეთ და, როგორც გენებოსთ, ისე მოიხმარეთ ეს ჩემი ნამოქმედევი. მე გთხოვთ მხოლოდ, ეს ერთის თქვენის მიწის-შვილის აზრი ბანკის საქმეს მიაკეროთ. თუ, ვინ იცის, სხვა საფუძველზედ გაკეთდა ბანკი, რადგან მე დარწმუნებული ვარ, რომ ის მაშინ კარგათ არ წავა, უფლება მექმნეს, გისაყვედუროთ, კარგი რჩევა მოგეცით და არ მიიღეთ მეთქი. ამითი მე ვთქვი, რომ ჩემის პროეკტის იმედი მაქვს და არა უხეიროთ მიმაჩნია ის, როგორც ცილს-მწამებს უ. ნიკოლაძე. პროეკტი გასწორებული ს. ლოლობერიძეს დაუტოვე და ესთხოვე, ვინც ინებოს, წააკითხე მეთქი. არ ვფიქრობდი, ღუბერნიის კრებაში დავესწრებოდი, ერთი რომ სამსახური მიშლიდა და მეორე მიუცილებელ საჭიროებათაც არ ვრაცხდი. ფიქროდი უწინდელს ბანკის კომმისიას ექნება მოსახსენებელი მომავალს კრებასთან, და, თუ უკეთესი არაფერი გამოურჩევია, ჩემს პროეკტს მოახსენებს მეთქი. დარწმუნებული ვიყავი ბანკის საქმეს თავი მოებმოდა, ყველანი ისე იყვნენ მონდომებულნი, და ჩემთვის სულ ერთი იყო, ჩემს პროეკტს მიიღებდენ თუ სხვისას, ოღონდ ხეირიანათ საქმე წასულიყო. ექვსს მაისს ტფილისს წამოვედი და ახალ ნაამაღლობევს უ. ნიკოლაძეც მობრძანდა.

ბაცი რომ ერთს მძიმე საქმეზედ ფიქრობდეს, წარმოიდგინე, მკითხველო, რამდენი რა მოუვა თავში, რამდენჯერ განსჯა დაუბორძიკდება, რამდენი უსაფუძვლო აზრი გაივლის ტვინში, მანამ საუკეთესო გზას გამოარჩევს და უკანასკნელ საფუძვლიანს აზრზედ დაადგება. რომ დავხატოთ სულ ის მრუდე გზები, რომლითაც რუსთველის ჭკუას უვლია, მანამ ის „ვეფხვის-ტყაოსნის“ შესავალს ან ავთანდილის ანდერძს დასწერდა, და მოეკითხოთ ანგარიში იმ შავათ ნაფიქრები ლექსებისა, რომელთაგან წარმოდგა ჩვენის ენის სიამპარტავნე და საუნჯე, გარწმუნებ ჩემის და ბორისელის ქართულზედაც უარესს მრავალს რამეს ნახავთ. აგრეთვე, კაცი თავის ოთხ კედელს შვა, თავის მეგობრებთან და ნაცნობებთან მრავალს იმისთანას იტყვის, რომელშიდაც ანგარიში და პასუხის მგებლობა არ მოეთხოვება. ბაცთან რომ დიდხანს დარჩები, გარეშეც რომ იყოს, უეჭველია, ისეთი რამეები შეიძლებაითქვას, რომელიც არ უნდა გამჟღავნდეს. ამ მიზეზების გამო ყოველი თქმული ოჯახში, კერძობითს მუსაიფში, მხიარულების დროს, ტრტინის მადის დროს, შეუხებელი საიდუმლო უნდა იყოს, ეს არის ზნეობითი კანონი, რომლის გადახდომა არის მეჭორეობა და მპარაობა. თვითოეული ჩვენგანი სცოდავს ამ ზნეობითს კანონს, მაგრამ ამ შემთხვევაში ეეცდები, ჩემი მოთხრობა მხოლოდ აშკარა ფაქტებზედ დაფუძნებული იყოს.

ტფილისში მოიტანეს ამბავი, რომ ჩემის პროეკტის წინააღმდეგებს თან-და-თან მომხრეები ემატებაო. ეს ამბავი მე და უ. ნიკოლაძეს ერთს და იმავე დღეს გვითხრეს. მისი აზრი იყო, რომ ჩემი ქუთაისს წასვლა საჭიროა, და მე მას ესთხოვე, ახალი მოსული კაცი უფრო ადვილად დააკვირდები, ქუთაისს მიხვალ, კარგად გასინჯე და, თუ მაშინაც საჭიროდ ნახავ ჩემს იქ ყოფნას, მომწერე და მოვალ მეთქი. წიგნი არ მიმიღია. 26 მაისს ქუთაისს მივედი. ინდოდა შემეტყო, ჩემი ბიძაშვილები და სხვა ვინმე პირები, რომელნიც წინაზე არ მენახა, რას ფიქრობენ, რა გზას ადგანან, და მეც ერთ გაკვლეულ გზას დავდგომოდი. შევიტყე, რომ უწინდელი კომმისია არაფერს მოხსენებას არ აპირებს. მისთანაც მოლაპარაკება მქონდა, ყველანი თანხმობას მიცხადებდნენ ჩემს პროეკტზედ. ზოგნი ეუბნებოდენ, ვითომც წინააღმდეგიც არიანო, მაგრამ მე თვითონ არავისგან არ გამიგონია, არც წინა-აღმდეგობა და არც რამე სხვა რამე განზრახვების ქონა ბანკის თაობაზე. უ. ნიკოლაძემ კი მითხრა, ფიქრობენ შენ, ქირილე ლორთქიფანიძეს და ერთს ვისმე მესამე კაცს მოგანდონო ბანკის საქმე, და უ. ბ. იოსელიანმა მკითხა, ქირილე ლორთქიფანიძე რომ იქნეს თქვენთან ბანკის საქმეში, რას იტყვიო. ჩემი პასუხი იყო, ქირილესთან სამოთხეშიდაც დაჯოჯოხეთშიდაც ყოველგან წავალმეთქი, და ტფილისში რომ დავბრუნდი, უ. ქირილეს ურჩია, ქუთაისში წადი, იქაურობა მოინახულე, ამბობენ, ბანკის საქმეში საჭირო იქმნები მეთქი. ფიქრობდი, იქნება ვისმეს დასტურ რამე პლანი და განზრახვა აქვს და მე არ მეუბნებოდეს; რაც იქნება შევიტყობთ, მაგრამ მე მაინც ჩემი ზომა უნდა მიეღო მეთქი და ამ ჟამიდგან ის მოქმედების პროგრამმა ავირჩიე, რომელიც 25-ს ივნისს კრებას წარუდგინე. სამს ივნისს ნ. ლოლობერიძეს გაუგზავნე ჩემის პროექტის უკანასკნელი რედაქცია და ამასთანავე მოკლედ შედგენილი იმისი საფუძვლები, ხუთს მე თვითონ მივედი ქუთაისს. აქიდამ ოცდახუთამდი თითქმის ყოველი კარი მოვიარე: ვისგანაც რამე რჩევას და შემწეობას მოველოდი, ვისაც ვიცნობდი და შევხდი, ვინც მომაგონდა, ვინც ისურვა, ყველას მოვახსენებდი ჩემს აზრებს ბანკის თაობაზედ და ჩემს პროგრამმასა. პროექტიც 6-ის მაისიდგან 25-ს ივნისამდი ხელში ჰქონდათ, ვინც ინება, ყველამ წაიკითხა. ვინც რა საფუძვლიანი შენიშვნა მომცა, ყველას ვკრებდი, რომ პროექტის განხილვის დროს წარმედგინა. ბუბერნიის კრების გახსნა 16 ივნისამდი არ მოხდა. ამაზე წინათ უ. გუბერნიის მარშალს, თ. ბ. აგიაშვილს, ესთხოვე, ერთი ბანკის თაობაზედ შინაურულად მოვილიპარაკოთ, მოუწოდეთ ამ საქმეში საჭირო კაცებს და რაც საზოგადოებისთვის მოსახსენებელი მაქვს წინდა წინ გამისინჯეთ მეთქი; მაგრამ ეს მოლაპარაკება არ მოხერხდა. მერმე უ. ბ. ხელთუფლიშვილთან მივიქეცი ამავე თხოვნით, ვერც იმან მორთო. მაგრამ რა ბანკის საქმის დაწყება ერთობ გაძნელდა, ამ დროით ვისარგებლე და მრავალ პირს გავაგებინე, რაც სათქმელი მქონდა, და მათი სურვილი და აზრები შევიტყე. 25-ს ივნისს ორშაბათს, უ. ბუბერნიის კრების თავმჯდომარემ თ. ბ. აგიაშვილმა მიმიწვია კრებაში და მომცა ნება ჩემი პროექტი მომეხსენებინა. ჩემი მოხსენება იყო შემდგომი: მე წარმომიდგენია ჩვენის ბანკის უსტავის პროექტი, რომელიც არის ხერსონის ბანკის საფუძვლებზედ შედგენილი; დაწვლილებაები არის შემუშავებული ხარკოვის ბანკის უსტავზედ, რომელსაც ემზგავსება

ყოველი ამგვარი რუსეთის ბანკების ახალი უსტაევები; გარდა ამისა რამოდენიმე ადგილი არის შეკეთებული თფილისში რომ მიწის ბანკი კეთდება იმის უსტაევის მზგავსად. უმთავრესი საფუძვლები ამ პროეკტისა არიან შემდეგნი:

1) ჩვენის ქვეყნის გარემოება მოითხოვს, ჩვენ გავმართოთ იმისთანა ბანკი, რომელიც გირაოდ მიწას და საზოგადოდ უძრავ მამულს იღებს და რომელსაც ჰქვია საადგილ-მამულო ბანკი; ამ ბანკს ექმნება უფლება გამოსცეს გირაოს ფურცლები (*Закладные листы.*)

2) ბირაოს ფურცელი არის ერთი რამე ვექსილი, რომელსაც აძლევს ბანკი ფულის პატრონსა სესხის ამღებელის მაგიერად; სესხის ამღები არის პასუხის მგებელი ბანკთან და ბანკი ფურცლის პატრონთან. ეს ფურცლები გამოიხსნება და მოისპობა წილის ყრით. ჩვენი ბანკის გირაოს ფურცლები აძლევენ პატრონებს წელიწადში 6% ე. ი მანეთზე ექვს კაპეიკს.

3) ჩვენი პირველი ზრუნვა უნდა იყოს, გირაოს ფურცლებს კარგი კურსი ანუ მსელელობა ჰქონდეს; მათს კარგს ფასზედ ჰკიდია ბანკის ბედი. ამისთვის ამ ფურცლების მყიდველებს უნდა მივსცეთ, რაც შესაძლებლია, ყოველი გარანტია ან იმედები, რომ ბანკი თავის პირობას მათ აღუსრულებს. ამის მეტი კი არ შეგვიძლია, რომ ფურცლების შემოსავლის პასუხის-მგებელნი იყენენ ჯერ დაგირავებული მამული, მერმე ბანკის სიმდიდრე და უკანასკნელ დაგირავებულთ მამულთ საზოგადო თავდებობა. ვთქვათ, ერთი მამულია, ას თუანათ დაფასებული; ბანკი იმას დაიგირავებს ორმოცდაათ თუმნათ. მოხდა, რომ მამულს ფული თავთავის დროს არ შეაქვს, მამული გაიყიდა და ბანკს ეზიანა რაოდენიმე თუმანი. ეს გადახდება დამფასებლებს, თუ იმათ ჯამული განგებ მეტად დაუფასებიათ. თუ არა, უნდა იზღოს ბანკმა. რასაც ბანკი ვერ შეიძლებს, დანაშთენის ზღვევა გაიყოფება დაგირავებულთ მამულთ შორის, პატრონებს შეხვდებათ, თვითოეულს ბანკში შესატანს მანეთს რომელიმე კაპეიკის ნაწილი დაუმატონ. ბარდა ამისა ფურცლების პატრონების წარმომადგენელს აქვს მონაწილეობა და მრჩეველი ხმა ბანკის სამმართველოში დასამტკიცებლად მისა, რომ ბანკს თავისი საქმე წესიერად მიჰყავს.

4) საუნჯე თავნი (*Складочный капиталъ*) ბანკისა შედგება დღეს დღეობით იმ ფულებისგან, რომელიც ბანკის დამფუძნებელმა თავად-აზნაურობამ შესწირა და რომელიც შეადგენს თითქმის 400,000 მან. შემდგომში ეს თავნი გადიდდება მილიონამდი ბანკის შემოსავლითგან და ახალთ მწევრთაგან თვისის ხვედრის ფულის შემოტანით.

5.) რადგან პასუხის-მგებლობა საზოგადოა, ბანკის გამგეობაში უნდა ჰქონდესთ მონაწილეობა როგორც დამფუძნებლებს, ეგრეთვე სესხის ამღებლებს.

6) ბანკი აძლევს ორგვარ სესხს: ცოტას ხნით, ერთიდგან სამ წლამდი, ნაღდს ფულს; დიდის ხნით, 18 წლის და 7 თვის ვადით, ან $43\frac{1}{2}$ წლის ვადით, გირაოს ფურცლებს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში თავნი და სარგებელი გადიხდება ყოველ ნახევარ წლობით ერთი და იმავე ზომა ფულის შეტანით. დამფუძნებლებს უნდა მივსცეთ ის მხოლოდ უპირატესობა, რომელიც ბანკს არ აენებდეს.

7) ბანკის წმინდა შემოსავალი—ერთი ნახევარი მოიხმარება საზოგადოების საჭიროებაზედ, მეორე ნახევარი ბანკის მმართველობაზედ, მისის საუნჯე თავნის გასადიდებლად და შესადგენად სათადარიგო თავნისა (*Запасный капиталъ*)

8) ბანკის საქმეს მართავს ბანკის სამართველო (*Правленіе*) დამფასებელის კომმისიითურთ, მხედველობის ქვეშ ზედამხედველის კომიტეტისა (*Наблюдательный Комитетъ*); უმთავრესი საქმეები და მათ შორის ყოველი ფულის ხარჯი განიხილვება საზოგადო კრებაში.

ეს მუხლები განვმარტე სიტყვიერათ უფრო გრძლად და მეცადინეობით, როგორმე ყოველთათვის გამეგებინებია ჩემი აზრი. დასასრულში უთხარი: ეს საფუძვლები ასწონეთ, შეავსეთ, გაასწორეთ და ისე მიიღეთ. ამას კი გთხოვთ, პირველ სამ მუხლს და უმეტესად მესამეს ნურას მოაკლებთ, რადგან გირაოს ფურცლების გარანტიებს რომ რამე ჩამოვათალოთ, დიდი მაენებელი იქნება მეთქი. როცა საფუძვლებზედ დათანახმდებით, გამოირჩიეთ ხუთიოდე კაცი და მიანდვეთ პროეკტის განხილვა, რომ იმათ დაათანხმონ ის პროეკტი თქვენგან მიღებულს საფუძვლებს, გაასწოროონ და მოგახსენონ, არის ის მისაღები თუ არა. თუ იმათ მოიწონონ, პროეკტი მიიღეთ; მერმე დანიშნეთ ხუთიოდე კაცი კომმისიაში და მას მიანდვეთ საქმეების მსვლელობა უსტავის დამტკიცებამდი. ამ კომმისიას მიეცით შემდგომი მინდობილება: 1) თუ შერაცხოს საჭიროდ, გაასწოროს პროეკტის რედაქცია; 2) იშვამდგომლოს უსტავის დამტკიცება და იხმაროს ამისთვის ყოველი მიუცილებელი საშვალობა; 3) დაეთანხმოს, რა ცვლილებაც პროეკტში უმაღლესმა მთავრობამ მიუცილებლად შერაცხოს; 4) ეცადოს, როგორმე სამეგრელოს თავად-აზნაურობა შემოგვიერთდეს ბანკის საქმეში; 5) რა უსტავი დამტკიცდეს, მისს საფუძველზედ შეკრიბოს საზოგადოება; 6) მოახსენოს საზოგადო კრებას თავისი აზრი იმ საგნებზედ, რომელთაც განხილვა საჭიროა პირველს ბანკის კრებაში; 7) იზრუნოს ბანკის გახსნამდი მისი თავნი კარგად და სასარგებლოდ შეინახებოდეს. ინებებთ თუ არა ჩემის მოხსენების მიღებას, ბანკის საქმეს ამ შემთხვევაში ისეთს მდგომარეობაში ნუ დატოვებთ, რომ მისი შეცვლა შეიძლებოდეს.

ჩემი მოხსენება საზოგადოებამ კმაყოფილებით მიიღო, მოკლედ დაწერილი რუსულად პროეკტის საფუძვლები წამაკითხეს, წინააღმდეგი არავის არა უთქვამს რა, არა გამოუცვლიათ რა საფუძვლებში და როგორც საფუძვლები, ეგრეთვე წინადადება პროეკტის გამხილავის კომმისიის ამორჩევაზე მიიღეს კენჭის ყრით. ას-ოცდა ცხრამეტ კენჭზედ მოვიდა შვიდი შავი. კომმისიაში ამოირჩიეს თითქმის ერთის ხმით; თ. დ. ერისთავი, უ. ლ. აეალიანი, უ. დ. ბაქრაძე, უ. ნ. ლოლობერიძე და უ. დ. ჩხეიძე.

სამშაბათს ამ კომმისიას წარუდგინე ჩემი პროეკტი და ის იმაზედ შენიშნვები, რომელნიც შეკრებილი მქონდა სხვა და სხვა პირებისაგან. კომმისიამ ეს განიხილა, პროეკტი შეასწორა და ოთხშაბათს საღამოს კრებას თვისი მოხსენება წარუდგინა. ჩემი პროეკტი და კომმისიის შენაცვალი მუხლები კრებაში წაიკითხეს, რაოდენიმე ადგილი იქ აიხსნა და მერმე კომმისიისგან გასწორებული ჩემი პროეკტი კრებამ მიიღო, როგორც ურჩია კომმისიამ და თვითონაც დარწმუნდა. კენჭის ყრაში ას და ცხრამეტს კენჭზედ ორი შავი მოვიდა. ხუთშაბათს ამოირჩიეს კომმისია, რომელსაც მისცეს ზემოხსენებული მინდობილება ბანკის საქმის მსვლელობაზედ. ამ კომმისიაში ამოირჩიეს დიდი ხმის უმეტესობით: თ. ბ. აბაშიძე, თ. დ. ერისთავი, უ. დ. ბაქრაძე, უ. ნ. ლოლობერიძე, უ. დ. ჩხეიძე. კომმისიის ამორჩევაში მე არა ვითარი მონაწილეობა არ მიმიღია თვინიერ ამისა, რომ თ. ბ. აბაშიძისგან შევიტყვე თუ ინებებს კომმისიის მწევრობას და უ. ს. მაჭავარიანს ესთხოვე, როგორც ყოველი საზოგადოება სთხოვდა, მიეღო კომმისიაში მონაწილეობა.

უკანასკნელი ჩემი სიტყვა შეიცავდა შემდგომს: დღეს ჩვენმა ბანკმა წაადგა პირველი ბიჯი; იმერეთის თავად-აზნაურებამ აღასრულა თვისი ვალი ისე მოსაწონად, რომ სასტიკი მსაჯულიც ვერას დაუწუნებს. ერთმა არამდიდარმა საზოგადოებამ შესწირა საქვეყნო სასარგებლო საქმეს ნახევარი მილიონი ფული, მიიღო საზოგადო თავდებობა და, დარწმუნებული ვარ, მზათ არის ყოველს მსხვერპლზედ, თუ საფუძვლიანი მოთხოვნილება იქმნება. მეორე ბიჯი ჩვენის ბანკისა დამოკიდებულია დღეს აღმორჩეულს კომმისიაზედ. ამას მინდობია საშრომი საქმე და ასამსუბუქებლათ მისდა მან უნდა იცოდეს, რომ ამ საქმეში მთელი საზოგადოება მისი შემწეა და ისე მოქმედი, როგორც თვითოეული კომმისიის წევრი. მაგრამ უძნელესი საქმე წინა გვაქვს, უსტავის დამტკიცების შემდეგ: ეს არის ბანკის გამართვა, მისი რიგიანი მმართველების შოვნა და ამორჩევა. რომ მკითხოთ, შენგან საკვარგისად ნაჩვენები პროეკტი მივიღეთ, ღმერთმა შეგვაძლებინოს, რიგიანი კაცები ვიშოვნოთ, მაშინ კი მოგვცემო იმედს, რომ ჩვენი ბანკი კარგად წავა? მე უნდა მოგახსენოთ, რომ მაგის წინასწარს მე კიარა, ათი ჩემდენი იცოდეს, ისიც ვერ გეტყვის. ამისთვის რომ ბანკის საქმე გარდა ჩვენის მოქმედებისა დამოკიდებული არის ქვეყნის მდგომარეობაზე. ფული ერთობ თავის ნებაა და წინდაწინ ძნელად ასაწონი, რას იტყვის მაშინ, როცა ჩვენ დაგვჭირდება. მე მხოლოდ ესასოებ, რომ თუ ჩვენი ბანკის მოქმედნი პირნი ერთგულნი, ენერგიულნი და გონიერნი იქმნებიან, თუ სიფრთხილით საქმეს წაიყვანენ, დღეს თუ არა ხვალ ჩვენი ბანკი ფეხზედ დადგება, ფესვს გაიღებს და ჩვენის მომავლისთვის კრედიტს (ნდობას) შეგვიქმნის.

ამ იმედს მაძლევენ ჩვენის ქვეყნის გარემოება, ჩვენის ხალხის ნიჭი და ხასიათი, ჩვენის ბანკის უსტავის საფუძვლები. ბარდა ამისა ჩვენი ნიადაგ მოწყალეა ხელმწიფე იმპერატორი, რომელმაც უბოძა 160,000 მან. თფილისის ბანკს; უეჭველია, ჩვენთვისაც რომ მოუცილებელი საჭირო იყოს, შემწეობის მოწყალებას უნდა მოველოდეთ. თუ თქვენი ნება იქნება, გაუგზავნოთ დეპუტაცია უ. ლუბერნატორს, რომელმაც ბანკის საქმეზედ დიდი თანამგრძნობელობა განგვიცხადა, მოვახსენოთ ამაზედ მადლობა, ესთხოვოთ შემდეგისთვის შემწეობა მოგვცეს და ჩვენის ხელმწიფის წარმომადგენელს უ. კავკასიის ნამესტნიკს ჩვენი თავი და ჩვენი ბანკი შეაბრალოს. ამ გაგზავნილის დეპუტაციისთვის უ. ლუბერნატორს დიდი იმედი ებრძანებია. ეს გრძელი ამბავი ამისთვის მოგახსენეთ, რომ თვითონ ახსნათ, მკითხველო, რაში მდგომარეობს ის ჩემი „ოინობა“ რომელმაც უ. ნიკოლაძეს თავი ატკინა. ვთხოვ ყოველთ ზემოხსენებულთ პირთ, აგრეთვე თ. ნ. ჩიჯავაძეს, რაჭის უეზდის ნაჩალნიკს, თ. ბ. ნიჟარაძეს, თ. ნ. წერეთელს, თ. ს. აბიშიძეს, თ. ბ. ივანესძეს აბაშიძეს, თ. მ. ბურიელს, თ. დ. წულუკიძეს, უ. ბ. ბერიძეს, თ. ა. მიქელაძეს, თ. ა. ლორთქიფანიძეს, თ. ძ. ნიჟარაძეს, თ. ს. მიძელაძეს და ყოველს იმ პირებს, ვისთანაც მოლაპარაკება მქონდა, გამისწორონ, თუ რამე შევცვალე, და მითხრან, თუ თავიდგან ბოლომდი იმ გზაზედ არ ვადეგი, რომელიც 25-ს ივნისს კრებას მოახსენე.

ბ. ლოლობერიძე

(შემდეგი იქნება)

თქვენც ბანკზე, მეც ბანკზე.

—

უსწავლელი და უენო კაცი რომ სამწერლო და სალაპარაკო ასპარეზზე გამოვა, უნდა იცოდეთ, მკითხველნო, რომ იმას დიდი რამ გაჭირვება მისდგომია და რალა ღონეა, მწუხარება ყველაფერს აფიქრებინებს და გაბედვინებს კაცს. ჩემი გაბედულება ემზგავსებ ა იმას, რომ ბუზი მაედანზე გამოვიდეს და ლომს ბრძოლა გამოუცხადოს, რადგანაც მე ისეთს მწერლებს ვეხები, რომელთაც ჩემოდენი ჭკუა და სწავლა თითოეულს მათგანს თითო თითის ფრჩხილშიაც უნდა ჰქონდესთ, ასე მგონიან.

თქვენ კარგათ იცით, მკითხველნო, რომ როდესაც იმერეთის აზნაურობამ უმაღლესად ბოძებული ყმის ფულები მიიღო, მაშინ ბანკის შესადგენათ დასტოვეს ხაზინაში ათზე ერთი მანეთი. ამ ფულმა კარგა დიდი თანხა შეადგინა. ესეც იცით, რომ აზნაურებამ მაშინვე ამოირჩია ოც და ოთხი წარჩინებულნი პირნი, რომელთაც მიანდეს უსტავის დაწერა და ბანკის დაწესება: მაგრამ ამ აღმორჩეულთა პირთა სამოც და ხუთის წლიდგან მოიყვანეს საქმე იქნამდის, რომ შარშან ერთს გარეშე პირს აძლევდენ რვაას თუმანს უსტავის გადმოსაწერათ საიდანმე და იმანაც იფიქრა: „ჩემს სახლს ქორწილში ყოფნა სჯობიანო“—ადგა და ხერსონის ბანკის უსტავის პირი გადმოიწერა და მოიტანა, რომელიც შეიძლებოდა სამ მანეთად გამოგვეწერა.—რასაკურველია, რომ უმეტესი ნაწილი აზნაურებისა ამაზედ არ გახდა თანახმა, პირველი მისთვის, რომ ის გადმოწერილი უსტავის პირი ჩვენს ინტერესებს არ ეთანხმებოდა და მეორე მისთვის უფრო, რომ ამ უბრალო უსტავის პირში რვა ას თუმანს აძლევდენ ბანკის ფულებისაგან და ამით ამცირებდენ საფუძველს ბანკისას. ამ მიზეზებმა აღძრა ახალი მწერლები და ა. წერეთელი და ნ. სკანდელი, უმეტესის რისხვით და და დაცინვით, სძრახვიდნენ იმ ოც და ოთხთა პირთა, რომელთაც რვა წლის განმავლობაში ვერა გაარიგეს რა და არც იმ უსტავს აქებდენ, რომელშიაც რვა ას თუმანს აძლევდენ.

წასრულს წელში ამითი დაბოლოვდა ჩვენი ბანკის საქმე.

უ. ბ. ლოლობერიძემ, რომელიც ეკუთვნის ჩვენს აზნაურებას, ნახა, რომ ჩვენი ბანკის საქმეს დასასრული არა აქვს, უკეთ ეჰსთქვათ, არა აქვს დასაწყისი, შეადგინა უსტავი, რომელიც გააშინჯვა იმისთანა პირებს, რომელთაც ზედ-მიწევნით ესმოდათ ბანკის ნაწილი და წარუდგინა აზნაურებას, რომელსაც სთხოვა, გარდასაკეთებელად ამა უსტავისა დაენიშნათ კომისია.

ამდენი შრომა ბ. ლოლობერიძემ მიიღო თავის თავზედ ერთი მხოლოდ აზნაურების ერთგულებისათვის და არა სხვა რაიმე საკუთრის სარგებლობისა. ქენჭის ყრის დროს აზნაურებამ ეს უსტავი ერთხმათ მიიღო დიდის მადლობით და კიდევაც ამოირჩია კომისიის წევრები და ეხლა სრული იმედია, რომ იმერეთს ექმნება ბანკი, რომელიც შეადგენს ჩვენს მომავალს ბედნიერებას. მაგრამ ამ შემთხვევამაც გამოიწვია იგივე მწერლები მაედანზე და მოჰყვენ თავისებურ დაულეველი ოხუნჯობით კიცხავს ამ უსტავისას.

„დროების“ ოც და მეექვსე ნომერში მე წავიკითხე ორი სტატია: ერთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ. სკანდელისა და მეორე აკ. წერეთელისა. აკ. წერეთელი გაკვრით დასცინის ამ უსტავს და ნ. სკანდელი კი პირდაპირ ამბობს, რომ არც უსტავი ვარგა და არც ის პირნი, რომელნიც კომისიაში ამოურჩევია აზნაურობას და არც კარგი ბოლო ექმნება ამ ბანკსაო. სხვათა შორის წერეთელი წინასწარმეტყველობს, რომ ბანკი გაბელატდებაო. რადგან წერეთელი თვითონ იმ დროს გაბელატდა რომ ჯერ თავზედ თმის მოვლის დროც არა ჰქონია, ამისთვის ფიქრობს ის, რომ სხვაც ისრე უდროოთ გაბელატდებაო. მაგრამ იმას ბელატობა მოუვიდა რუსეთში ცივის ჰაერისაგან მო, სადაც ამ გვარი შემთხვევა ხშირია, ხოლო ჩვენში კი ისეთი ცხელი ბუნებაა, რომ ბელატობის ფიქრი არ არის და ნურც სწუხს ამაზედ ის.

როგორც ზემოთ ამისა დამიწერია, ბ. ლოლობერიძის უსტავი ერთხმათ მიიღო აზნაურებამ, ამოირჩია კომისიის წევრები და იჭვი არ არის იმაში, რომ უსტავი დაინახეს საფუძვლიანათ და ალმორჩეულნი პირნი ღირსეულათ. ეხლა რომ ნ. სკანდელი და აკ. წერეთელი არ აქებენ როგორც უსტავს ისრე კომისიის წევრებს, მე მგონიან ისინი ამით კიცხავდენ აზნაურებას, რომელმანც მიიღო უსტავი და ამოირჩია წევრები კომისიისა. თუ რომ მართლა სხვამ ვერაფინ დასწერა რიგიანი და სასარგებლო უსტავი, რა იქნებოდა, რომან ნ. სკანდელს და ან აკ. წერეთელს დაეკალებინა აზნაურება და ერთი კარგი უსტავი დაეწერათ, რომლითაც ერთი რომ დაუმტკიცებდენ აზნაურებას ერთგულებას და მეორე, რომ დაეინახვინთმათს დიდს ნიჭს და გამოცდილებას. მაგრამ, როგორც სჩანს, უსტავის დაწერას ბევრი დრო და საფუძვლიანობა უნდა, ხოლო სუბუქი სტატიების და შაირების წერას კი არც ბევრი დრო უნდა და არც ნამეტანი ფიქრი სჭირია. ნ. სკანდელი და აკ. წერეთელი მართალია ამტკიცებენ, რომ ბ. ლოლობერიძის უსტავი არ ვარგაო; მაგრამ უნდა გითხრათ გამოტეხილი, მკითხველნო, რომ მე ჩემის მხრით მათს ლიტონ ლაპარაკს ვერ ვერწმუნები და, მგონიან, არც თქვენ მისცემთ მნიშვნელობას მათს სტატიებს, პირველი მისთვის, რომ ისინი მხოლოდ ამბობენ „არ ვარგაო“ და რა მიზეზით ანუ რომელი მუხლი იმ უსტავისა არ ვარგა, იმას კი არ გვიხსნიან; მეორე მისთვის, რომ არც მე და არც თქვენ იმათი დაწერილი უსტავი არ გვინახავს, თუმცა კი ამ ორის წლის განმავლობაში ბევრს ყვიროდნენ ამ ბანკის შედგენის თაობაზე. მაშასადამე რა ნაირათ უნდა ვსთქვათ, რომ წერეთელი და სკანდელი მართალს ლაპარაკობენ; ვინ იტყვის, რომ ისინი დიდი ნიჭიანი კაცები არ იყენენ, მაგრამ ჩემდა სამწუხაროთ უნდა გითხრათ, რომ არც ერთს მათგანს ბანკის უსტავის დაწერა თავშიაც არ მოსვლიათ და არც იმას ამტკიცებენ, თუ ლოლობერიძის უსტავი რითი არის ავათმყოფი ანუ რა სტკივა; მხოლოდ დაუჟინიათ: „არ ვარგა, არ ვარგა და არ ვარგაო!“

მართალია, ძველი დროის კაცები ვართ და არც სწავლა მიგვიღია, მაგრამ არც ისრე უნიჭონი ვართ, რომ ამ ნაირი მრავალმეტყველებით ვისმეს რამე დაუჯეროთ და საფუძვლიანი მოსაქმე უსაფუძვლო მოსაქმისაგან ვერ განვარჩიოთ.

მე არ ვამტკიცებ, რომ ბ. ლოლობერიძის უსტავი ისეთი რამ იყოს, რომ იმისი მზგავსი და უკეთესი სხვა არ დაწერილიყოს, მაგრამ ამას თამამათ ვიტყვი, რომ ის უსტავი ჩვენთვის სასარგებლო არის, მით მაინც რომ ეთანხმება სარგებლობას და ინტერესებს აზნაურობისას და დაფუძნებულია იმ ბანკების უსტავებზედ, რომელნიც ღვეს რუსეთში კარგათ მოქმედებენ. მკითხველნო, მე ვარ გაცხარებული და დავიწყე მაედანზედ ქაქანი მისთვის, რომ ძლიეს იმერეთს ელირსა ბანკის დაბოლოება ბ. ლოლობერიძის შრომით და ეხლა, ნაცვლად შეწევნისა და კარგის რჩევისა, ნ. სკანდელი და აკ. წერეთელი ეძაგებენ უსტავს, რომლის ნაკლულევანებას კი არ გვიხსნიან და ამით აზნაურებას აგდებენ უბრალო ფიქრში და დარღში. მაგრამ მადლობა ღმერთსა, რომ ჩვენი აზნაურება მრავალ მეტყველებთ და ცოტა მოსაქმეებთ მალე იცნობს და ისიც იციან, თუ ვის რა სარგებლობის მოტანაო შეუძლია.

ჩემო მკითხველნო, თავი კი მოგაბეზრეთ, მაგრამ ნება მომეცით, ორიოდე სიტყვა გკითხოთ: მე რომ ეხლა გითხრათ, რომ რუსთველზედ უკეთესი მწერალი ვარ მეთქი და არც „ვეფხვის-ტყაოსანი“ კარგი დაწერილია მეთქი, ხომ არ დამიჯერებთ ისრე, ამ კვეხნას, სანამ „ვეფხვის-ტყაოსანზედ“ უკეთესი თხზულება არ შევადგინო?—არა მაშ მადლობელი ვართ. მეც ეგ მინდოდა რომ გეთქოთ.

Iაკინთე Uიფიანი

პასუხი IაკინთეUიფიანს

—

შვიდი წელიწადი რომ სწეროს უფ. ბეს. ლოლობერიძემ თავისი პასუხი ჩემს „Iმერეთის ამბებზე“, იმისთანა „ბრალმდებით წერილს“ ვერ დასწერს, როგორიც თქვენ შეგიდგენია. არ ვიცი ვსცდები მე ამ შემთხვევაში თუ არა, მაგრამ მგონია კი, რომ თქვენი ნაწერის ძლიერება და საფუძვლიანობა იმაში მდგომარეობს, რომ თქვენი პირით უნდა ლაპარაკობდეს ჩვენი აზნაურობა, და თქვენგან გამოთქმული ჩვენი გაჭიკცხვა და გამტყუნება სწორეთ იმ მოაზრებაზე დამყარებულათ მიმაჩნია, როგორიც ჩვენებურს ადგილის-მეპატრონეს თავში უნდა უჯდეს. აი რისთვის „დროებამ“ ადგილი მისცა თქვენს ნაწერს და მე მოვალეთ ვრაცხ ჩემ თავს გულწრფელი პასუხი დაგიბეჭდოთ თქვენ გამტყუნებაზე.

თქვენ თვითონ ამბობთ, რომ ამ საქმეს თქვენ სჯით ისე, როგორც გონიერს ან ნიჭიერს, მაგრამ გამოუცდელ ან უსწავლელ კაცს შეუძლია. ნუ დამემდურებით, მაშ, თუ მე თქვენ ორიოდე სიტყვით აგიხსნით ჩვენს მოქმედებას, იმ საქციელის და მოვალეობის გამოხატვით, რომელიც ნიადაგ მხედველობაში უნდა ჰქონდეს ჩვენ მსგავს მოქმედ პირს,—მწერალს და პუბლიცისტს.

პუბლიცისტის დანიშნულება ქვეყანაში მარტო იმაში მდგომარეობს, რომ იცოდეს თავისი ხალხისა და საზოგადოების მოთხოვნილება და საჭიროებები და მათი გამოსადეგი საშუალებების გამოძებნა და ჩვენება შეეძლოს. Iს გულმოდგინეთ უნდა აკვირდებოდეს თანამედროე ცხოვრებას და საქმეებს და გულწრფელათ თავის აზრს გამოთქვამდეს ამ საგნებზე, გამოთქვამდეს როგორც კი მოახერხებს, მძიმეთ თუ მსუბუქი გაკვრით, დალაგებით თუ დაცინვით,—სულ ერთია, მაგრამ ისე კი, რომ მისმა ნათქვამმა საზოგადოების ყურამდი მიაწიოს და საზოგადოების ტვინში კვალი დასტოვოს. აბნაირათ გაუგია პუბლიცისტის დანიშნულება ყველა მწერლებს, ყველა საზოგადოებს.

არც ერთ ქვეყანაში არაფის თავში აზრათაც არ მოსვლია მოეთხოვა, რომ პუბლიცისტს თავისი აზრის გამოთქმა უიმისოთ არ შესძლებოდა, თუ თვითონვე გარჩეული და გაკიცხული საგნის და მოვლენის მაგიერის გაჩენა და შედგენა არ მოეხერხებინა. როცა ლეინე ერთი ლექსით და დაცინვით რომელიმე პოლიტიკური მოქმედი პირის ან მწერლის ორმოცი წლის შრომას ჰკლავდა და აძაგებდა, როცა ბორნე ბერმანიის წესდებულებას მასხარათ იგდებდა, როცა პრეეო-პარადოლი ნაპოლეონის მოქმედებას და მიზანს ერთი შედარებით და სურათით ჰკაფავდა, როცა დობროლიუბოვი რკინის გზების მშენებლების ხარბობას და უსინიდისობას აამკარებდა, არაფის არ უთქვამს ლეინესთვის—მენცელის თხზულებებისთანა ისტორია დასწერე და მერმე იცინეო, არც ბორნესთვის—ჯერ უკეთესი კონსტიტუცია შეუდგინე ბერმანიას და მერმე ეხლანდელი გაჭიკცხეო, არც პრეეო-პარადოლისთვის—ჯერ იმპერატორათ გახდი და მერმე ნაპოლეონს დავაში შეებიო, არც დობროლიუბოვისთვის—ჯერ მილიონები მოიგე და რკინის გზის კონცესია აიღე და მერმე ძოკორევის და ბუბონინის მოქმედებას გაკიცხვის დაღი დაასვიო. ბელინსკის ვოდევილიც არ დაუწერია თავის სიცოცხლეში, და სხვების ნიწერის გარჩევის და დაფასების მეტი არა უქნია რა. მაგრამ იმის შრომა მაინც იმოდნათ სარგებლიანი იყო რუსული მწერლობისთვის, რომ ის არც პუშკინის არც ბოგოლის ნაკლებ არაფის მიაჩნია. ასეა ყოველგან, და დიდი უშველებელი უსაფუძვლოებაა პუბლიცისტს რომ უთხრას კაცმა—ხმას ნუ ამოიღებ, სანამ იმ საგნის მაგიერს არ მოძებნი, რომელიც შენი სინიდისისა და გონების რწმუნებას შენთვის გაკიცხვის და ძაგების ღირსათ უჩვენებიო.

მეორე მოვალეობა პუბლიცისტისა იმაში მდგომარეობს, რომ თავის დღეში საზოგადოებას იმისთანა რჩევა არ მისცეს, რომელმაც საზოგადოებას აენოს ან საქმე გაუმრუდოს, თავის დღეში საზოგადოებაში გავლენა არ მოაპოებინოს იმისთანა პირებს, რომელთაც, მისი მტკიცე რწმუნებით, საზოგადოებისთვის ვნებისა და დაჩაგვრის მოტანა შეეძლებათ. აბ საქმეში პუბლიცისტი სინიდისის და შემდეგი თაობის წინაა პასუხის მგებელი, და ეს პასუხის გება, დამიჯერეთ, უფრო მძიმე და საშინელია, ვინემ სისხლის სამართალი თავისი კატორგით და თუნდ დახვრეტითაც. ზულითად მებრალება ვისაც ეს არ ესმის, და ვისაც ამ პასუხისგების გახსენებასთან, ვისაც ამ მოვალეობის ასრულებასთან ან მეგობრობა, ან წვრილმანი პიროვანი გაწყობილება, სიამოვნება თუ უკმაყოფილება, ახსოვს და გულში აქვს..

Iქონიეთ მხედველობაში ეს დანიშნულება პუბლიცისტისა, დი გადახედეთ, ეხლა, ჩვენს მოქმედებას ჭუთაისის ბანკის თაობაზე.

ბეჭდვითა და სიტყვით ჩვენ ვსცდილობდით, რომ ჭუთაისის აზნაურობას ხეირიანი, მომავლიანი, მტკიცე ბანკი გამართოდა. ბარდაიკითხეთ ამ საგანზე ჩვენი ნაწერი (მაგალითად „დროება“ 1870 № 17 და 1873 № 21) და ნახავთ, რომ ამ საქმეში ჩვენ არ დაგვივიწყნია პუბლიცისტის მოვალეობის სიმძიმე. შემდეგში, როცა ჩვენი საზოგადოების მოთავეები ყველა მხრით იმას გვეუბნებოდენ, დაგვეხმარეთ, ხელი გაგვიწყეთო, უსტავი დაგვიწერეთო, როცა საქმე უკანასკნელ მდგომარეობაში იყო მისული, ჩვენ ვთქვით:—მიანდეთ ეგ საქმე ორიოდ-სამ ახალგაზდას, ისეთს, რომ მათი გონება ნიადაგ პარტიული ბრძოლის სარგებლობაზე არ ჰფიქრობდეს, და ვისაც ცოტაოდენი რამე ესმის ჩვენს ახალგაზდობაში ყველა ერთიანათ დაეხმარება ამ პირებს, თავის შრომას და ცოდნას გაუზიარებს და გამოვა ხეირიანი უსტავი, მომავლიანი ბანკის დედა-ბოძი და საფუძველი. ჩვენ იმოდნათ გულწრფელათ ვიქცეოდით ამ გარემოებაში, რომ სხვისგან სხვანაირ მოქცევას და განზრახვას არც კი ველოდით. და კერძოობით მოლაპარაკების დროს ჩვენ ყველა მოთავეებს ამ სიტყვებს ვეუბნებოდით: „მიანდეთ ეგ საქმე ბეს. ლოლობერიძეს, კ. ლორთქიფანიძეს ერთს კიდევ ვისმე, ვინ ცგინდოდესთ მანდაურ ახალგაზდებთაგანს, მაგალითად ან. ლორთქიფანიძეს, და რაც კი ჩვენ რამე ვიცით, რისი მიგნება გვაქვს ან რასაც ჩვენი რუსეთელი და სამზღვარ-გარეთელი მეგობრები მიაგნებენ, შეავგროვებთ, გავშიმჯავთ და თქვენგან ამორჩეულ პირებს გაუზიარებთ. სხვანაირათ უსტავის შედგენა შეცდომაა, საქმის საბოლოოთ წახდენაა.“ მიაკითხეთ ჭუთაისს ვისაც გსურდეთ, და შეიტყვეთ, ასე იყო ეს თუ არა? კითხეთ კიდევ, თანხმა იყო ამაზე უფ. ბ. ლოლობერიძე თუ არა, და თუ ეს ასე არ ყოფილიყოს შერცხვენილი და სახელგატეხილი ვიქნები მე საზოგადოების და ახალთაობის წინ.

მაგრამ თქვენ ამ დროს ჭუთაისში არ ყოფილხართ. თქვენ თფილისში იყავით, როცა ეს საქმეები ჭუთაისში მზადდებოდა. ეხლა მე მინდა დაგიმტკიცო, რომ თფილისშიაც შეგეძლოთ თქვენ დაგენახათ, რომ სწორეთ ამნაირი იყო ჩვენი საქციელი.

აი რას ვწერდით ჩვენ მაისის დამლევს („დროება“ 1873 № 21):

„ჩვენი საზოგადოება რამე ისეთ დახლართულ, ნაკუწ-ნაკუწათ დაკერებულ პროექტს მიიღებს, რომ ბანკის საქმე სანიადაგოთ დაღუპული იქნება, და იმასაც კი ვერ გაიგებს, რომ თუ ჩვენში ბანკი ერთხელვე დასაწყისში ცუდათ წავიდა, ხარ-კამბეჩითაც ველარ ააყენებს კაცი ჩვენი ქვეყნის დაცემულ კრედიტს და დაფუკულ ბანკს.

„ამაში ჩვენ თითქმის დარწმუნებული ვართ. ჩვენ ვიცით, ამას გარდა, რომ ჭუთაისში ბანკი საკუთრებით მძიმე და დახლართულია სულ სხვა მხრითაც. ბანკს ჩვენში ბევრი ძლიერ შემძლე მოწინააღმდეგე ჰყავს, რომელნიც მომავალ პროექტს თვალ გამოჭყეტით შეჩერებიან, რომ რამე კვანტი გამოდონ და საქმე ორიოდ სამი წლით კიდევ დაბრკოლონ.. აზნაურობა ამ ორ მახეში ჩავარდნას უნდა ერიდოს, თორემ საქმე უარესათ დაებურდება. აჩქარებით, ორ-სამ დღეში, ამისთანა ძნელი საქმე ვერ გარიგდება. ამ ძნელ და საშინელ გაჭირებაში ჩვენ საზოგადოებას გონიერი საქციელი სჭიროა, ისეთი, რომ მომავალ თაობას ჩვენი ლანძღვით ხსენება და გინება არ შეეძლოს, რომ ჩვენ, შემდეგში, ჩვენი შვილების წინ თავის დაღუნვა და გაწითლება არ დაგვჭირდეს. აი, ამ მძიმე მდგომარეობის და საშინელი პასუხის-გების მიხედვით, ჩვენ მოვალეობათ ვრაცხთ სინიდისის წინ, ორიოდე გულწრფელი რჩევა მივცეთ როგორც ჩვენ საზოგადოებას, ისე ჩვენ ახალგაზდა მოთავეებს. გამოდგება თუ არა ჩვენი რჩევა, მიიღებენ იმას თუ არა, ეს სხვა საქმეა. ჩვენ ჩვენსაც კი ვიტყვით და მერმე ღმერთმა ყველას გზა დაულოცოს.

„აი ეს ჩვენი რჩევა:

„I. საზოგადოებისთვის: ძველ მოთავეებს ბანკის საქმე და ქვეყნის საჭიროება და მომავალი სწორეთ იმოდნათ ესმისთ, როგორც ჩვენ—ჩინეთური ენა. Iმათგან ამ საქმეში ვნების მეტი არა გამოვა რა, და ისინი საზოგადოებამ დღეს უნდა საქმის გარეთ დასტოვოს. საზოგადოებამ უნდა მიენდოს ამ საქმეში ერთს, ან ორს, ან თუნდ სამს ახალგაზდას, და საქმის წაყვანა, პროექტის შედგენა და ბანკის დაარსება იმათ მიანდოს, მათ ნამუსზე შეაგდოს, ისე, რომ ამ ამორჩეული კაცების მომავალი და სახელი სამუდამოთ ამ ბანკის საქმეზე დამოკიდებული იყოს. თუ იმათ ეს საქმე კარგათ წაიყვანეს, იმათ ჩვენი საზოგადოების მადლობა, პატივისცემა საკმაო ჯილდოთ მიაჩნდებათ. თუ არა და, ნუ ამოაყოფინებს იმათ საზოგადოება თავს ნურასოდეს, ნურსად, ნურაფერში,—მათთვის მომავლის დაკარგვა, სახელის გატეხა და საზოგადო შეურაცყოფა საკმაო სასჯელათ იქნება. ამ ცდის მეტი საზოგადოებას დღეს, ჩვენი აზრით, არაფერი შეუძლია. მეტი გზა, მეტი საშუალება იმას დღეს ხელში არა აქვს. საზოგადოებამ რომ თვითონ ან პროექტის შედგენა მოინდომოს, ან სხვისგან შედგენილ პროექტს შინჯვა დაუწყოს, პროექტი და ბანკი დაიღუპება, წახდება, ამიტომ რომ არც საზოგადოებას, არც არცერთ მის ეხლანდელ მოთავეს ბანკის საქმის გაგება არა აქვს.

„II. ახალგაზდა მოთავეებს: თუ საზოგადოება ამთავითვე უმთავრეს საფუძვლებზე არ დათანხმდა და მათი დაარსების უფლება არ მიანდო პროექტის შემდგენლებს, არცერთმა ხეირიანმა კაცმა ამ საქმის თაოსნობა არ უნდა იკისროს, რადგანაც მაშინ (ბანკის მომავალ და აუცილებელ დაცემას ჩვენს ახალგაზდობას მიაწერენ და ჩვენ მიმართულების წინაალმდეგ იარაღათ გამოიყენებენ.) მაშასადამე საყოველთაოთ ცხადი და ნაცნობი უნდა იყოს, რომ ვინც ჭუთაისში ბანკის საქმეს იკისრებს იმ საფუძვლების დაუმტკიცებლათ, რომელზედაც წინეთ ვლაპარაკობდით, იკისრებს საზოგადო სარგებლობისთვის კი არა, თავის საკუთარ კერძო გამორჩენისთვის, და ჩვენი მხრით, ჩვენი თაობის და მწერლობის მხრით, იმას დახმარება და რჩევა კი არა, ერთგული და ნიადაგი წინაალმდეგობა და ბრძოლა მოელის. მაშინ ბანკის დაცემა მაგი, და არა ჩვენი ახალგაზდობის საქმე იქნება.“

ეს იყო ჩვენი განზრახვა და აზრი ჭუთაისის ბანკის საქმეზე. შემდეგში, როცა საზოგადოებამ „ნაკუწ-ნაკუწათ დაკერებული პროექტი“ მიიღო, როცა უფ. ბეს. ლოლობერიძემ პროექტი წარადგინა და, საზოგადოების წინ გულწრფელი პასუხისგების მაგიერ, იკისრა კამედიის თამაშობა, ვითომ ჩემი პროექტი პატივ-ცემულმა პირებმა განიხილესო (რომელთაც, ჩვენის სიტყვით, „ბანკის საქმის გაგება არა აქვთ“), ჩვენ იმ საქციელს დავადექით, როძელიც ამოწერილი ადგილის ბოლოსაა გამოსახული. რა ვთქვით ჩვენ მაშინ?

Iს, რომ ჩვენ ამ საგანზე ხშირათ მოვილაპარაკებთ, ესე იგი დაწვრილებით განვიხილავთ უფ. ბ. ლოლობერიძის პროექტს. Iს კიდევ, რომ ჩვენი წინაალმდეგობის უმთავრესი მიზეზი ჩვენი აზრით იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენში რუსეთელი ბანკის მიბაძვა არ გამოდგება, ჩვენ სხვა საჭიროებები გვაქვს, ჩვენ სხვა საშუალებების გამოყენება შეგვეძლო და ამ საჭიროებებს ვერ აკმაყოფილებს, ამ საშუალებებს ვერ ხმაროობს უფ. ბეს. ლოლობერიძის პროექტი. მგონია, რომ ეს ძლიერ საფუძვლიანი და შეურყეველი დამტკიცებაა. Iს დამტკიცება ჩემი „Iმერეთის ამბებიან“ თავში გაძოვსახე და დაწვრილებით იმის აწერა შემდეგისთვის გადავდე, როცა ხელში უფ. ლოლობერიძის პროექტის პირი მექნება და მისი დაწვრილებითი გარჩევა შემეძლება. მანამდი კი, ჩემი პასუხისგების ქვეშ, როგორც სინდისიანი პუბლიცისტი, მე ვამბობდი, რომ უფ. ბეს. ლოლობერიძე ცუდათ მოიქცა, კარგი საქმე წაახდინა, ბანკის მომავალს ავნო. ნუ თუ ამისი თქმის ნება არა აქვს პუბლიცისტს?

ან რაა, ვითომ, პუბლიცისტის სიტყვა? ბა-

ნა მისი ნაწერი სახარების სიტყვაა? არა. პუბლიცისტი თავისას ამბობს და საზოგადოება, თუ ყურს უგდებს, მარტო იმას იჯერებს, რაც იმას უჯდება და ხეირიანათ მიაჩნია. ჩვენ ჩვენსას ვამბობთ. თქვას უფ. ლოლობერიძემ თავისი და საზოგადოება გაგვარჩევს. რათ უნდა მოდიოდეს გული და რათ უნდა სწყენდეს პატიოსან კაცს მის წინააღმდეგ წერა-ბეჭდვა? ბონიერი და პატიოსანი მოქმედი ნიადაგ დაჯერებული უნდა იყოს, რომ საზოგადოების წინ მისი საქციელის და აზრების განხილვა, ძაგება, გაკიცხვა და მასხარათ აგდება იმას ვერაფერს დააკლებს, თუ მისი აზრი მტკიცე და საფუძვლიანია, თუ მისი საქციელი გონიერი და პატიოსანია. ამ შემთხვევაში უსაფუძვლო დაცინვა და გაჭკიცხვა მარტო გამკიცხველს და დამცინველს აენებს, რადგანც მისი წინააღმდეგობა საზოგადოების წინ უსაფუძვლოთ და უგნურათ გამოჩნდება. სინათლის, გამოაშკარების, ქვეყნის წინ გამოსვლის მარტო ცუდათ-განზრახულ, პიროვანი მიზნისა და სარგებლობის მეძიებელ, ბნელ ყოფა-ქცევას დაჩვეულ კაცს უნდა ეშინოდეს და ერიდებოდეს. დაინახოს, დაე, საზოგადოებამ ყველა მოქმედი პირების განზრახვა, მიზანი, საქციელი, აზრი, შაიდგინოს გაგება საზოგადობრივ საქმეებზე და მოქმედ პირებზე, გაიგოს ყოველი საზოგადო საქმის გარემოება, გამოაშკარდეს ყველაფერი — და საზოგადოებას ამისგან სიკეთის და სარგებლობის მეტი არაფერი მოელის. ვნება, დამხობა, სახელის გატეხა იმას ერგება, ვინც ცუდათ მოქცეულა, ვისაც საზოგადოების სარგებლობა დავიწყებია ან პიროვანი განზრახვით უმოქმედნია.

რას ნიშნავს, კიდევ, თქვენი და ბევრი სხვების გაბრაზება? რათ არ გვწყენია ჩვენ ჩვენი წინააღმდეგ წერა, რათ ვაძლევთ ადგილს ყველაფერს, რასაც თქვენ ან სხვა ჩვენზე დასწერს ამ საქმის თაობაზე? ამიტომ, რომ მტკიცეთ და ბეჯითად დარწმუნებული ვართ, რომ საქმის ნათლათ გამოაშკარებით სარგებლობა მოეტანება ჩვენს საზოგადოებას, და არცერთს ჩვენს მოქმედებაში არცერთს სტრიქონში არ გამოჩნდება არც ჩვენი ღალატი, არც ჩვენი მოვალეობის დავიწყება. მოითმინეთ, ყური დაუგდეთ ორივე მხარეს, მოისმინეთ ორივე მხრით წარმოდგენილი საფუძვლები და ახსნა და ბოლოს შეიდგინეთ აზრი, ვინ ყოფილა ჩვენი ქვეყნისა დი საზოგადოების ერთგული, და ვინ — მოღალატე.

ნ. სკანდელი.

„დროების“ კორრესპონდენცია

დ. ყვირილა, 9 ივლისს 1873

ბევრი რამ ამბები მოხდება ხოლმე ამ ჩვენ დალოცვილ მაზრაში. ყოველიფერ მოქმედებაში წინ-წაწევა სჩანს, მადლობა ღმერთს, როგორც კარგში ეგრეთვე ცუდშიაცა. ჭურდობა რომ გაჩნდა, პირველათ ბელლებს ტეხდნენ; შემდეგ სახლებსაც დაუწყეს ცარცვა. მაგრამ ეს ღამით იყო მაშინ. ბოლოს სოფელს შრომას ერთი პატიოსანი დიდიხნიდამ დამსახურებული და მენდლით დაჯილდოვებული იასაული მიუხდა ღამე ერთ გლეხ-კაცს, სატევრით დაადგა თავზე და უბრძანა: „ფულები მოიტანეო“. ამ დროს მოეპარა ღამეში ამ კაცის ცოლი და ისეთი უთაქა ამ ქურდს წალდი თავში, რომ თავის ფულებიც დაავიწყდა. მეორე დღეს მკედარ-ცოცხალი ჩამოათრიეს უეზდის სასამართლოში. ეხლა ღამით რომ არაევინ მიეპაროს ამ ქურდებს, დღე აჯობინეს ტაცება. ამ დღეებში შუა დღის დროს სოფელს დილიკურში დახვდენია ავაზიკი კაცს და გაუცარცვავს. აქნობამდისინ ეკლესიების ნივთებს არ ეხებოდნენ და ეხლა ბარძიმ-ფეშხუმს არ აყენებენ ეკლესიაშა. რათ უნდათ, კაცმა არ იცის, ისინიც ხომ არ სწირვენ? ხატზე ვერცხლის შემოფცქვნა სულ სხვა არის. თქვენ ეს ამბები არ გესიამოვნებათ, მკითხველო. აბა სხვა ამბებს მოგითხრობთ.

დაბა ყვირილაში ხორცით ვაჭრობა გაიცა იჯარით, როგორც ამბობენ ოცდა ხუთ თუმნად. მაგრამ იმ პირობით, რომ მეხორცეს შეუძლია ზოგიერთი ხორცი . . . .

ყველაზე უფრო სასიამოვნოდ აქ შკოლის საქმე მიდის. რაც ჭუთაისის სახალხო შკოლების ინსპექტორი დაინიშნა, ძლიერ გამრავლდა მაინც სოფლებში შკოლები: დღეს ამ მაზრაში ოთხ ადგილას არის შკოლა. ამას წინეთ ცირკულიარიც იყო, რომ დაკეტილიყვნენ ყველგან შკოლები, თუმცა ხალხი იმ სოფლის ყრილობის გარდაწყვეტილობით არ დააწესებდა შკოლას, რომელიც „სბორნიკის“ №2 იყო მოყვანილი. . . . . .

. . . . . იმ ცირკულიარს სასულიერო სასწავლებლებზე არ ქონდა ძალა, თორემ რამოდენიმე შკოლა დაიკეტებოდა, რადგან იმ გადაწყვეტილების მოთხოვნილების თანახმათ არ არიან ზოგიერთი ოთახები მოწყობილნი.

ამ შკოლის საქმეზე მართლა დიდი საქმე გაუწევიათ შორაპნის აზნაურობას კენჭის ყრის დროს. ამბობენ, რომ მთავრობისთვის უთხოვნიათ მოგვეცეს ის რვაასი მანეთი, რომელიც მთავრობის განკარგულობით შორაპნის ორ კლასიან სასწავლებლისთვის გამოდის ყოველ წელს 1868 წლიდამო. სხვას ჩვენ დაუმატებთო, თუ შკოლას გავაკეთებთო. რომ კითხო ზოგიერთს, შორაპნელები შკოლას არ ეძებენო. დაუმტკიცა საზოგადოებამ კენჭის ყრის დროს თუ არა, რომ ზრუნვენ იგინი შკოლებზე. ამბობენ, ჩვენში სწავლა უკან (დასავლეთისკენ) მიდისო, მაგრამ ძლიერ სტყუვდებიან: სწავლა ჩვენში წინ (ალმოსავლეთისკენ)მიდის... სწავლაც კარგად მიდის და სწავლილი კაცებიც კარგები გვყავს მადლობა ღმერთს!...

ადვოკატები და დოქტორები რომ არ ყავდეს ხალხს, დაგარწმუნებთ, ძლიერ გაუჭირდებათ საქმე. როგორც ადვოკატები გამოიხსნიან სასჯელისაგან ავაზაკებს, ისე დოკტორები იხსნიან სნეულებისაგან ხალხს. ზოგიერთი სნეულება ზოგ მოსამართლესავით შეუბრალებელი არის, მაგრამ რა გაეწყობა, ყველა ღვთის ნება არის.

ამ ჩვენ უეზდში ძლიერ გახშირებულია ყვავილის სნეულება. ამ გაჭირვებაში ვინ მოუტანს ხალხს სარგებლობას ისე, როგორც ექიმი ფელდშრები და ყვავილის ამცრელები? დახვდე იმათ დახმარებას? ამ ჩვენ ყვირილაში ათიოდე კაცი გახდა ყვავილით ავათ, მაგრამ დაუმადლოს ღმერთმან ექიმს და ყვავილის ამცრელის საშუალებას, ექვსის მეტი არ მომკვდარა! ერთმა ყვავილის ამცრელმა მითხრა, რომ აცრისაგან ბოდიშიანობა უფრო უხდება ყვავილით სნეულსაო და მე ამას უფრო ვხმარობო!

ამ ამბავს თავს დავანებებ და ერთ საქმეს გთხოვთ უ. რედაქტორო. ეს ხუთი წელიწადია რაც ბებია (აკუშერკა) მჭირდება ხოლმე როგორც მე, ისე სხვას. ამ შორაპნის მაზრაში თურმე დიდი ხნიდამ ყოფილა ბებია დანიშნული, აგერ ხუთი წელიწადია, და ის შორაპნის მაზრაში არსად მინიხავს დაბინავებული. ამბობენ, რომ ჭუთაისში არის დასახლებულიო. ერთი ორჯელოდე დავაპირე მოყვანა, მაგრამ სანამდისინ ის მოვიდოდა მანობამდის შვილები მოსანათლავად შეიქნენ ხოლმე. რომ ის ჭუთაისშია, ეს იქიდამ ვიცი, რომ ჯამაგირი ყოველ თვეში ულია. მაგრამ ქალალდი შორაპნიდამ იგზავნება, ვითომ აქ არისო: მე ვერც ჭუთაისში მივაგენ.. ამისთვის გთხოვთ ღვთის გულისათვის, მიეცით ამ სიტყვებს ადგილი თქვენს გაზეთში, იქნება გამოაცხადოს მაინც, რომელ ქუჩაში დგას, ვის სახლშია და შეიძლება თუ არა, რომ კაცს თხოვნა აღუსრულოს გაჭირვების დროს და წაყვეს სახლში? ერთი მადლია, და მეორე ყველა მშობიარე დედაკაცების მადლი არას გაგიჭირვებსთ.... ზოგიერთი ამბობენ; ჯამაგირი იმიტომ კი არ ეძლევა, რომ მშობიარე ქალებს მოეხმაროსო, იმიტომ ეძლევა, რომ კანონი თხოულობს, ყოველ მაზრაში ბებია იყოს დანიშნულიო.

შ—ლი.

ს. ჭოლევი, 10 ივლისს 1873.

იძულებული ვარ, ესთქვა რამოდენიმე სიტყვა ჩვენ სოფლის საზოგადო საქმეებზე, მით უმეტესად, რომ ეს ჩემი სიტყვა არ არის საკუთრად ჩემი, არამედ ის არის გამოთქმული ამ სოფლების*) კაი ძალი ნაწილისაგან. ეს სიტყვა შეეხება საზოგადო გზებს, შკოლებს და მღვდლებისა და საზოგადოების შუა განწყობილებას. დაეიწყოთ გზებისაგან. რაც შეეხება გზებს, როგორც შემაერთებელს ერთი სოფლისას მეორესთან, ისე მათ, რომელნიც აერთებენ ამ სოფლებს ჭუთაისთან, ისინი არიან იმავე მდგომარეობაში, რომელშიდაც ძველის-ძველად ყოფილან: კლდე და ღრე, კლდე და ღრე; არამც თუ ურმითა და ცხენით, ალაგ ფეხითაც, გაჭირდება გარება, ისიც დღით, და ღამე წასვლა-წამოსვლა, საჭიროება რომ ვექნება, ყოველად შეუძლებელი საქმეა. აქ საზოგადო გზები ნიადაგ დამოკიდებულია ყანობაზე: იმ ადგილზე, სადაც გზა მიდის, აევლებენ ყანას თუ არა, გზასაც შიგ შაიტანენ, და ქვეყანამ კლდეში და ღრეში უნდა იაროს. ამ გზით უნდა ისარგებლოს სოფლებმა თავის სიმდიდრით და ქალაქის სიახლოვეთი, ამ გზაზე უნდა წაიღოს სოფლის კაცმა, თუ რამე გააჩნია, რომ თავის ნაოფლარში თითო-ოროლა კაპეიკი აიღოს. ამნაირად გზების გარდაგდება, კლდე-ღრეში ხრიგინ-ხრიგინი დამოკიდებულია რამოდენიმე პირზე; როგორც ამათა სურთ, ისე მიდის საქმე. თუმც დიდი ხანია ნათქვამია, რომ სოფლებში კარგი გზები იყვნენ, რომ როგორც ქალაქის გზა, ისე გზა ერთი სოფლისგან მეორემდის იყვნენ კარგები, მაგრამ სოფლის მოხელეებს ეს არ უნებებიათ და საქმე უწინდებურ მდგომარეობაში არის. ხალხი მუდამ თხოულობს, რომ ამაზე ყურადღება იყოს მიქცეული, მაგრამ ვინ არის მოწყალე! ამბობენ: „ვჩივით, ვჩივით, მაგრამ მოწერილობას იქავ, უეზდის სასამართლოში, აგვიანდება სტოლებზე; დასწყეველოს ღმერთმა! როგორი წელიწადია, სიარული ჰსცოდნია ამ მოწერილობასაც!

შესახებ შკოლებისა უნდა ესთქვა, რომ აქაც ხალხის სურვილი დაუკმაყოფილებელი რჩება. ძვირად ნახავთ იმისთანა სოფლის კაცს, რომელსაც სწავლა ბედნიერებად არ მიაჩნდეს, რომელიც არ იყოს სულითა და გულით მონდომილი, რომ თავის შვილს სწავლა მისცეს, მაგრამ სხვა-და-სხვა გარემოებები უშლიან მას, მოიყვანოს სისრულეში თავის წადილი. უმთავრეს დაბრკოლებას, რასკვირველია, წარმოგვიდგენს სოფლის სიღარიბე, მაგრამ ამასთან ემატება ერთნაირი წყობილება ამ საზოგადოებისა. წინეთ რიონის საზოგადოებას შეადგენდენ ეს სოფლები: რიონი, ზარათი, სორმონი და ჭოლევი, ეხლა ამ საზოგადოებას მოუმატეს მდინარის რიონის გაღმა მდებარე სოფლები, და სასოფლო სასამართლო, რომელთანაც უნდა იყოს სოფლის შკოლა, გაიტანეს გაღმა. ამნაირათ შეაერთეს ერთმანეთს ... გილები, რომელნიც ბუნებისგან ... არიან განყოფილნი, რომ არ შაუძლიან იყონ შეერთებულნი ერთმანერთთან. რიონზე გასვლა-გამოსვლა, განსაკუთრებით ამ ზევითა და ზევით, გასაჭირია. ამნაირ განწყობილებასთან კი არა, ისე რომ იყოს, როგორც უწინ იყო, მაშინაც არ შეეძლო იმოტოლა სოფლის სასამართლოსთან შკოლა გაკეთებულიყო და სოფლის კაცს შვილი მიეცა იქ, რადგანაც, როგორც ზევითა ესთქვი, ეს სოფლები სრულიად განცალკევებულნი არიან ;უგზოობისგამო. წინეთ რიონში სასამართლოსთან იყო შკოლა და რამოდენიმე ბავში ჰსწავლობდა მარტო, მაგრამ მას შემდეგ, რაც სასამართლო გაღმა გავიდა, შკოლა და მისი შაგირდები სიზმარშიდაც არაევის უნახავს. აქედგან ცხადია, რომ ზევით-მოხსენებული სოფლის განწყობილება დაბრკოლებას მისცემს სოფლის კაცს, თავისი სურვილი სისრულეში მოიყვანოს. ამისანა განწყოლიბილება, გარდა შკოლისა, სხვა საქმეებშიდაც დაბრკოლებას აძლევს სოფლის მცხოვრებლებს.

ღვდლებსა და საზოგადოებას შუა განწყობილებაზე რა ესთქვა? ისე სასიამოვნოდ არის სოფლის კაცებისთვის ღვდლის შეხვედვა, ვითომც თავის მტრისათვის და თავის დამღუპველისათვის შეუხვედავს. ქარგია ამისთანა განწყობილება მღვდელშუა და ერსშუა? რანაირი შედეგი უნდა ჰქონდეს ამას? მღვდელს, რაც უნდა იყოს, დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლის უსწავლელი და გაუთალებელი ხალხისათვის და, თუ ეს ხალხი მას ისრე უყურებს, როგორც თავის მტერს, რა ხეირი უნდა გამოვიდეს აქედგან? ბევრი ფიქრობს, რომ ეს უკანასკნელმა წესმა და რიგმა, ე. ი. დრაჰმამ მოახდინა. მაგრამ მე ამის თანახმა არა ვარ. ეს ახალ წესსა და რიგს სრულიადაც არ მიეწერება; ჩემის აზრით ეს მიეწერება მხოლოდ მას, რომ დრაჰმის ფული მარტო გლეხს აწევს კისერზე. ბლეხს ეს აწუხებს და აზნაურს ის, რომ ისიც ვალდებული იქნება, სარჩო რომ მისცეს მღვდელს. ძლიერ კარგი კი იქნება აზნაურებიც ვალდებულნი იყვნენ, როგორც გლეხები. ვითომ რისთვის უნდა იყოს მათ-შორის განსხვავება? იმათ სხვა და სხვა ღმერთი ჰყავთ, სხვა და სხვა ნაირი წირვა უნდა ჰქონდეთ? ნუ თუ ისინი თანასწორნი არ არიან ამ სოფელს კანონის წინაშე და იმ სოფელს ღვთის წინაშე?

ა. ჭ—ძე.

*) მე ვამბობ აქ იმ სოფლებზე, რომელნიც რიონის საზოგადოებას შეადგენენ.

დაიბეჭდა და დაურიგდება ხელის მომწერლებს

„ქრებული“
(მესამე წიგნი)

შინაარსი: ბლეხის ნაამბობი, მოთხრობა (დასასრული) ილ. ჭავჭავაძისა.— ორი სურათი, ლექსი აკ. წერეთლისა.—ბლეხური სიმღერები, (ილ. ჭავჭავაძის შეგროვილთაგანი)—ნიკ. ბარათაშვილის წიგნები (ქართული სალიტერატურო ისტორიის მასალა)—რჩევა ახალგაზდა მწერლებს, ლექსი აკ. წერეთლისა.—ნაპოლეონ მესამის ცხოვრება (დასასრული) ნ. სკანდელისა—ჩვენი მწერლობა: ბრ. ორბელიანი, ნ. სკანდელისა.—ფელეტონი: ამ დროის მოძრაობა, ბ. წერეთლისა

როგორც ეს მესამე წიგნი, ისე პირველი ორი და მომავალი წიგნებიც გაეგზავნებათ მარტო იმათ, ვისაც „ქრებულის“ მიღების სურვილი გამოუცხადებია. ორემ ზოგიერთი „დროების“ ხელის მომწერლები და „ქრებულის“ უწინდელი დამბარებლები საყვედურს გვიცხადებენ, „ქრებული“ რატომ არ გვეგზავნებაო. მოუთხოვნელათ ჟურნალის გაგზავნა ჩვენ დაძალებათ მიგვაჩნია.

ამასთანავე როგორც „ქრებულის“ აგრეთვე „დროების“ რედაქცია ხელის მომწერლებს სთმოვს: ადრესი გარკვევით მოიწეროონ და ყოველ წასვლა-წამოსვლის დროს ახალი ადრესი დროთი გამოგზავნონ.

განცხადება

სამზღვარს გარეთიდამ მივიღე მრავალი სხვა და სხვა საბოსტნე მარცველები. ისყიდება ახალ-სენაკს, არხიტექტორი რაისთან

Дозволено цензурою. Тифлисъ. 20 Іюля, 1873 г. სტ. მელიქიშვილის და ამხ. სტამბა გამომცემელნი ს. მელიქიშვილი და ს. მესხი რედაქტორი ს. მესხი